Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში

#3, დეკემბერი, 2017

არალეგალური მიგრაციის გავლენა აშშ–ის ეკონომიკაზე

რუსუდან კიღურაძე, ნინო ბერიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: rusoruso1996@googlemail.com ; ninoberishwilly@gmail.com

შესავალი

დღეს ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია იმიგრაციის სიხშირის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ იმიგრანტების ასიმილაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, იმიგრაციის პოლიტიკა საკმაოდ სადავო საკითხია ამერიკაში. დებატების უმრავლესობა, კულტურულ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ ასევე არ უნდა უგულებელვყოთ იმიგრაციის ეკონომიკური ასპექტი.

ამერიკის სტუმართმოყვარე იმიგრაციის პოლიტიკის გამო, მიგრაციის საკითხი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა მის ისტორიაში. უკანასკნელ წლებში, იმიგრაციის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ამერიკის პოლიტიკოსებისათვის. თუმცა, საკითხმა განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიიპყრო მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა დონალდ ტრამპმა, რომელიც იმიგრაციის პოლიტიკის გამკაცრების მომხრეა. მან იმიგრაციის კონტროლი საგრძნობლად გააძლიერა, ეს მისი საპრეზიდენტო კამპანიის ერთ-ერთი მახასიათებელი იყო. მისმა დამოკიდებულებამ საკითხის მიმართ, საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მისი დაპირებებიდან ერთ-ერთი იყო მექსიკის საზღვარზე კედლის აგება, რაც არალეგალი მიგრანტების შემოსვლას შეუშლიდა ხელს. იგი ასევე მხარს უჭერდა ლეგალური ვიზებისა და „მწვანე ბარათების“ მიღების გამკაცრებას, რაც ტრამპის აზრით, უფრო ახლოსაა ისტორიაში არსებული შუალედის შენარჩუნებასთან. ტრამპის საპრეზიდენტო კამპანიის დროს მისი დამოკიდებულება საკითხის მიმართ რამდენიმეჯერ შეიცვალა, მაგალითად, 2016 წლისათვის ის შეეწინააღმდეგა თავის „H-1B ვიზის“[1] კამპანიას. ტრამპმა ეჭვქვეშ დააყენა იმიგრანტების ოფიციალური რაოდენობა ამერიკაში (11-დან 12 მილიონამდე), ის ფიქრობს , რომ ეს რიცხვი ბევრად დიდია (30-დან 34 მილიონამდე)

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევაში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ მეორადი წყაროების ანალიზი. მოცემულ საკვლევ თემასთან დაკავშირებით გავეცანით სტატიებსა და კვლევებს. ასევე გავეცანით საკითხთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, პოლიტიკოსების განცხადებებს, ისტორიაში არსებულ პრაქტიკასა და სხვა საჭირო მასალას, რათა კვლევის სანდოობა უზრუნველგვეყო. ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმის გაგება, თუ როგორი გავლენა აქვს არალეგალურ იმიგრაციას ამერიკის ბიუჯეტზე, ასევე მოსახლეობისა და თავად იმიგრანტების დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ.

[1] H-1B ვიზა ა.შ.შ-ს კომპანიებს საშუალებას აძლევს, დაასაქმონ უცხოელი კადრები სპეციალურ სფეროებში, რომლებიც საჭიროებს სპეციალიზებული დარგების თეორიულ ან ტექნიკურ ექსპერტიზას, მაგალითად ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფინანსები, ბუღალტერია, არქიტექტურა, ინჟინერია, მათემატიკა, მეცნიერება, მედიცინა და ა.შ. ნებისმიერი სამსახური, რომელიც მოითხოვს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხს, შეიძლება მიეკუთვნოს H-1B ვიზის კატეგორიას. ბაკალავრის ან უფრო მაღალი ხარისხის არქონის შემთხვევაში შესაძლებელია ხარისხის ეკვივალენტის ჩვენება, რაც განისაზღვრება სამუშაო გამოცდილებით ან სხვა კვალიფიკაციით. H-1B ვიზა 6 წლამდე შეიძლება გაგრძელდეს.

ისტორიული მიმოხილვა

არალეგალი იმიგრანტი - უცხოელი, რომელიც ქვეყანაში შევიდა და ცხოვრობს უკანონოდ, ქვეყნის ნებართვის გარეშე. აშშ–ის შემთხვევაში არალეგალი იმიგრანტი არის პირი, რომელიც საზღვრის გადაკვეთისას ინსპექციას თავს არიდებს ან ნებადართულზე დიდხანს რჩება ქვეყანაში ტურისტის, ბიზნესმენის ან ვიზიტორის სტატუსით.

პირველი ჩრდილოეთ ამერიკელი მიგრანტების ზუსტი მარშრუტი სადავო თემას წარმოადგენს, თუმცა ორი აზრი არ არსებობს იმაში, რომ კონტინენტზე მცხოვრები ყოველი ადამიანი არის ან ბოლო დროის მიგრანტი ან ძველი მიგრანტის შთამომავალი. ამერიკაში ძირითადად, 4 დიდი და მარტივად შესამჩნევი მიგრაციის ტალღა იყო, მას შემდეგ რაც დაახლოებით 13 ათასი წლის წინ პირველად გადმოსახლდნენ აზიაში მცხოვრები ხალხი.

მე-17 საუკუნის განმავლობაში, ევროპული კოლონისტების პირველი ტალღის უმეტესი ნაწილი ჩამოვიდა ინგლისიდან და ჩრდილოეთ ევროპიდან ამერიკის 1776-1783 წლის რევოლუციამდე ცოტა ადრე. მეორე ტალღა გაგრძელდა 50 წელი, მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე. ამ დროს ამერიკის ტერიტორიაზე მასიურად დასახლდნენ ირლანდიელები და გერმანელები. ამ პერიოდს მალევე მოჰყვა იმიგრაციის მესამე ტალღაც, რომელიც 40 წელს გაგრძელდა, ის მილიონიბით აზიელი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპელი მიგრანტისგან შედგებოდა. საბოლოოდ, მას შემდეგ, რაც 1965[2] წელს ამერიკამ დააწესა საიმიგრაციო კვოტები,მეოთხე ძირითადი იმიგრაციის ტალღა წარმომავლობის მიხედვით დაიწყო. მეოთხე ტალღა 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში დაიწყო და შეიძლება ითქვას რომ დღემდე გრძელდება და ამერიკის ისტორიაში ყველაზე დიდი იმიგრაციის ტალღას წარმოადგენს. იმიგრანტების უმრავლესობა არიან მექსიკიდან, ცენტრალური ამერიკიდან და კარიბის კუნძულებიდან.

საკითხის მიმოხილვა

არალეგალი მიგრანტები ძირითადად ამერიკაში იმისთვის ჩადიან, რომ უფრო ადვილად შეძლონ დასაქმება, თანაც მათ ამერიკელი დამსაქმებლები ხშირად „თბილად“ ხვდებიან ხოლმე. დამსაქმლებისთვის ეს მართლაც სასიხარულო ამბავია, რადგან მათ შეუძლიათ აიყვანონ მეტი მუშახელი ბევრად შეღავათიან ფასებში, ვიდრე ეს ამერიკელი მოქალაქის შემთხვევაში მოხდებოდა. დამსაქმებელს ასევე შეუძლია ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაასაქმოს მიგრანტი, რაც მისთვის სახარბიელოა. ხშირ შემთხვევაში, მიგრანტები სოფლის მეურნეობის სფეროში, კერძოდ, ხორც-პროდუქტებისა და ხე-ტყის მრეწველობის მიმართულებით საქმდენიან. აღსანიშვანია ის ფაქტიც, რომ ასეთი ტიპის სამუშაოები ყველაზე რთული და შრომატევადია, ამასთანავე დაბალი ხელფასითაც გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, მათი ქვეყანაში სიმრავლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს

[2] 1965 წლის იმიგრაციისა და ეროვნების აქტი. შეიმუშავეს კვოტების სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო ეროვნებაზე. აქტი გულისხმობდა მიგრანტების რაოდენობის შეზღუდვას თითოეული შტატის მიხედვით.

სამუშაოებია. მსგავსი დასაქმება 1986 წლის შემდეგ არაკანონიერად ითვლება[3], თუმცა ბევრი დამსაქმებელი ამ კანონს ყურადღებას არ აქცევს ან მომუშავე პერსონალის ყალბ და დაუმოწმებელ დოკუმენტებს იყენებენ.

არალეგალურად მომუშავეებს ძირითადად იმ ხალხთა ჯგუფი წარმოადგენს რომლებიც შემოიპარნენ ქვეყანაში - ხშირ შემთხვევაში მექსიკის ან ცენტრალური ამერიკის მოქალაქეები, რომლებიც მექსიკის საზღვრიდან შემოდიან. არალეგალური შემოსვლები ფიქსირდება ასევე კანადიდან. არიან ვიზით ჩამოსული არალეგალები რომლებიც ვადის გასვლის შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნებულან. ისინი არალეგალების 40% შეადგენენ.

როგორც არალეგალების ზუტი რაოდენობის დათვლა არის შეუძლებელი, ისე მათი სამუშაოების დადგენაც არ არის მარტივი, თუმცა ერთ ფაქტი ცხადია, რომ არალეგალი მიგრანტები ძირითადად სამუშაო ძალას წარმოადგენენ. ისინი მუშაობენ კომპანიებში, ასევე ინფრასტრუქტურის სფეროებში. ხშირად არიან მულტინაციონალურ კორპორაციებში დაბალ პოზიციებზე.

აღსანიშნავია, რომ ის რაც ამერიკელი ხალხის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის პრობლემად იქცა, ამერიკის კანონმდებლობის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში წახალისებულია. ამის მაგალითია ამერიკასა და კანადაში არსებული თავშესაფრის ქალაქები. თავშესაფრის ქალაქის ზუსტი ოფიციალური განმარტება არ არსებობს, რადგან თითოეულ ასეთ ქალაქს თავისი კანონები აქვს იმიგრაციასთან დაკავშირებით. თავშესაფრის ქალაქში შემცირებულია იმიგრაციის საკითხებში ადგილობრივი კანონმდებლობის კოოპერაცია ფედერალურ ხელისუფლებასთან. 2017 წლის 5 ოქტომბერს, კალიფორნიის შტატის გუბერნატორმა ხელი მოაწერა აქტს, რომლის მიხედვითაც კალიფორნია თავშესაფრის შტატი ხდება. აქტი ძალაში 2018 წლის იანვარში შედის. ამერიკის იმიგრაციის რეფორმების ფედერაცია გვთავაზობს ტერიტორიების სიას, რომლებშიც არალეგალური მუშახელის განსაკუთრებული სიჭარბე შეინიშნება. სადაც მოწინავე ადგილებს ტეხასი, კალიფორნია და ნიუ-იორკი იკავებს.

ფისკალური ტვირთი

ამერიკის იმიგრაციის რეფორმების ფედერაცია ასევე გვთავაზობს სტატისტიკას არალეგალური იმიგრანტების შესახებ:

- არალეგალური იმიგრაცია აშშ–ის გადასახადების გადამხდელებს წელიწადში დაახლოებით 113 მილიარდი დოლარი უჯდებათ, ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე (Federation For American Immigration Reform, 2015).

[3] იმიგრაციის რეფორმისა და კონტროლის აქტი (The Immigration Reform and Control Act), რომელსაც 1986 წლის 6 ნოემბერს რონალდ რეიგანმა მოაწერა ხელი. აქტის შედეგად განახლდა აშშ–ის იმიგრაციის კანონები. აქტი უკანონოდ თვლიდა არალეგალი იმიგრანტების გათვითცნობიერებულად დასაქმებას. დამსაქმებლისგან მომუშავე პერსონალის შესახებ სრულ ინფორმაციას მოითხოვდა. აქტმა მოახდინა არალეგალი იმიგრანტების სოფლის მეურნეობის კონკრეტულ სეზონურ სფეროებში დასაქმების ლეგალიზება. ასევე აქტის მიხედვით ლეგალური გახდნენ ის იმიგრანტები, რომლებიც ქვეყანაში 1982 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდნენ. კანდიდატებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ არ ჩაუდენიათ დანაშაული 1982 წლის 1 იანვრის შემდეგ და ფლობდენ მინიმალურ ცოდნას აშშ–ის ისტორიისა და მთავრობის შესახებ და გარკვეულ დონეზე იციან ინგლისური ენა.

- ყოველწლიურად არალეგალური მიგრანტების შენახვა ყოველ ამერიკულ ოჯახს 1117 დოლარი უჯდება. ფისკალური გავლენა ყოველ ოჯახზე მნიშვნელოვნად განსხვავდება, იმიტომ, რომ სხვადასხვა შტატში მიგრაციის სხვადასხვა რაოდენობა ცხოვრობს და დატვირთვაც მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები არალეგალი იმიგრანტების რაოდენობაზეა დამოკიდებული (Federation For American Immigration Reform, 2015).
- არალეგალი იმიგრანტების შვილების განათლება ამერიკელ გადასახადების გადამხდელებს განსაკუთრებით ძვირი უჯდებათ, კერძოდ, წელიწადში 52 მილიარდი დოლარი (Federation For American Immigration Reform, 2015).
- არალეგალი იმიგრანტების უმრავლესობა საშემოსავლო გადასახადს არ იხდის. ხოლო ვინც იხდის, გადახდილი გადასახადის უდიდესი ნაწილი უკან უბრუნდებათ სახელმწიფოს მიერ მათთვის გამოყოფილი თანხების სახით (Federation For American Immigration Reform, 2015).

ამერიკის იმიგრაციის რეფორმების ფედერაცია თავის ანგარიშში ასევე წერს, რომ ამერიკის ზოგიერთ შტატში არსებული საბიუჯეტო დეფიციტების გათვალისწინებით, ამერიკელმა პოლიტიკოსებმა არალეგალური მიგრაციის ფისკალური ტვირთი უნდა შეამციროს. კალიფორნიას 2010-2011 წლებში 14 მილიარდი დოლარის ოდენობის საბიუჯეტო დეფიციტი ჰქონდა, რასაც დიდწილად განაპირობებს ის, რომ იგი არალეგალ მიგრანტებზე ყოველწლიურად 21.8 მილიარდ დოლარს ხარჯავს. ნიუ—იორკის 6.8 მილიარდის ოდენობის დეფიციტი ნაკლებია მის მიერ არალეგალ მიგრანტებზე ყოველწლიურად დახარჯულ 9.5 მილიარდ დოლარზე. აღსანიშნავია, რომ არალეგალი მიგრანტებისგან მიღებული გადასახადების რაოდენობის ზრდა უახლოს წლებში მხოლოდ შეუმჩნევლადაა მოსალოდნელი, ლეგალური სტატუსი კი მათ უფლებამოსილს გახდის, მიიღონ სოციალური დახმარება და ბენეფიტები, რაც უკვე მორყეული სისტემის მომავალს უქმნის საფრთხეს. სტატუსის შეცვლის შემთხვევაში ისინი ასევე მიიღებენ იმ პროგრამების ბენეფიტებს, რომლებიც განკუთვნილია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის. შესაბამისად, საბოლოო შედეგი ისედაც უზარმაზარი ფისკალური ტვირთის გაზრდა იქნება (Federation For American Immigration Reform, 2015).

კონკურენცია დასაქმების სფეროში

ისე, როგორც არალეგალი იმიგრანტი მოსახლეობის რაოდენობა არაა ზუსტად დათვლილი, ასევე ამერიკაში მომუშავე არალეგალი იმიგრანტების ზუსტი რაოდენობა ჯერაც გამოსათვლელია. არალეგალურად მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა სამუშაო ძალას წარმოადგენს, რადგან სწორედ დასაქმებაა ამერიკაში ჩასვლისას მათი მოტივაცია. მიუხედავად ამისა, მათ ჰყავთ ოჯახის წევრები, ძირითადად შვილები, რომლებიც შრომით ძალას არ ეკუთვნიან, იმიგრანტების ოჯახების ზოგიერთი წევრი ციხეშია, შესაბამისად ისინიც არ მუშაობენ. Pew Hispanic Center-ის მკვლევრების მიერ ჩატარებულ უკანასკნელ კვლევაში ამერიკაში დასაქმებულ არალეგალი იმიგრანტების რიცხვად 8 მილიონია დასახელებული, მთლიანი 11.2 მილიონიდან. ანუ ამერიკაში მცხოვრები არალეგალი

იმიგრანტების 71.4 პროცენტია დასაქმებული (Federation For American Immigration Reform, 2015).

აღსანიშნავია, რომ არალეგალი იმიგრანტების მიერ დაკავებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით, კალიფორნიის შტატი ლიდერობს, აქ 1.887.695 სამუშაო ადგილია მათ მიერ დაკავებული. მეორე ადგილზე კი ტეხასია, სადაც ეს მაჩვენებელი 1.296.670-ა. საკმაოდ დიდი მაჩვენებლებია ამ მხრივ ნიუ–იორკის, ნიუ-ჯერსის, არიზონისა და ჯორჯიის შტატებში (Federation For American Immigration Reform, 2015).

ცვლილებები ამერიკის შეერთებული შტატების ეთნიკურ შემადგენლობაში:

Pew-ს კვლევითი ცენტრის მონაცემების მიხედვით 2065 წელს იმიგრანტები და მათი შვილები აშშ–ის მოსახლეობის 36% იქნებიან, რაც უტოლდება ან უსწრებს იმ უმაღლეს მაჩვენებელს, რომელიც მეოცე საუკუნეში შეინიშნებოდა. ეს მაჩვენებელი 2-ჯერ მეტია 1965 წლის მაჩვენებელზე (18%) და მნიშვნელოვნად აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს (26%).

ახალი მიგრანტების ჩამოსვლა და მათი შვილებისა და შვილიშვილების დაბადების მაჩვენებელია 1965 წელს არსებული 193 მილიონიდან 324 მილიონამდე გაიზარდა დღეისათვის. კვლევები აჩვენებს, რომ მათი რაოდენობა 2065 წლისათვის 441 მილიონამდე გაიზრდება და ამ ზრდის 88% დაკავშირებულია მომავალ მიგრანტებთან და მათ შთამომავლებთან.

მიგრაციას ქვეყნის ასაკობრივ სტრუქტურაზე ნაკლები გავლენა აქვს, მაგრამ მიგრაციის ფაქტორი რომ არ ყოფილიყო, აშშ–ში საშუალო ასაკი 41 იქნებოდა და არა 38. ქვეყნის 75% იქნებოდა თეთრკანიანი და არა 62%. ექპანურენოვანი მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის 8% იქნებოდა და არა 18% და აზიელები ამერიკის მოსახლეობის 1%-ზე ნაკლები იქნებოდნენ და არა 6% (Pew Hispanic Centre, 2015).

American Community Survey-ს კვლევის მიხედვით 2015 წელს, ამერიკის მოსახლეობის 14.7% გერმანული წარმოშობისაა, 12.3% - აფროამერიკული, 10.9% -მექსიკური, 10.6% - ირლანდიური, 7.8%- ინგლისური, 7.2% - ამერიკული და ა.შ. (American Community Survey, 2015). [4]

დასკვნა

New York Times-ის ინფორმაციის მიხედვით,[5] ამჟამად ამერიკაში 11 მილიონი მიგრანტია. ეს მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და გასაკვირიც არაა, რომ ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფისკალურ, დასაქმების და ეთნიკური შემადგენლობის სფეროებში არსებულ

[4] SELECTED SOCIAL CHARACTERISTICS IN THE UNITED STATES 2011-2015. American Community Survey 5-Year Estimates. https://factfinder.census.gov/faces/tableservices/jsf/pages/productview.xhtml?src=bkmk

[5] Vivian Yee, Kenan Davis And Jugal K. Patel. (2017, March 06). Here's the Reality About Illegal Immigrants in the United States. Retrieved November 21, 2017, from https://www.nytimes.com/interactive/2017/03/06/us/politics/undocumented-illegal-immigrants.html

მდგომარეობაზე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ არალეგალმა მიგრანტებმა ჩაანაცვლონ ამერიკის ადგილობრივი მშრომელები ან შეამცირონ მათი შემოსავალი გრძელვადიან პერსპექტივაში, მაგრამ მათ შეუძლიათ მოკლევადიანი ჩავარდნების გამოწვევა. მიგრანტები საკმაოდ დიდ კონკურენციას უწევენ ადგილობრივებს დასაქმების სფეროში და გარდა ამისა, მიგრანტების მიერ საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობისთვის ადგილობრივ მოსახლეობას ზედმეტი გადასახადების გადახდა უწევს. შესაბამისად, არსებობს ფისკალური ზეწოლაც. მიგრანტების სიმრავლის ხარჯზე მნიშვნელოვნად იცვლება ამერიკის ეთნიკური და რასობრივი შემადგენლობაც.

მიგრაციის პროცესი ამერიკაში კვლავ გრძელდება, ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე იმიგრაციის ტალღა ყველაზე დიდია ამერიკის ისტორიაში. შედეგად, ქვეყანაში იზრდება შიდა კონკურენცია, არა მარტო მოქალაქესადა იმიგრანტს შორის, არამედ თვითონ მიგრანტებს შორისაც, რაც წარმოქმნის უფრო მეტ უმუშევარ მიგრანტს. რაც შეეხება მოქალაქეებს, მათ უწევთ დიდი გადასახადებისა და თანხების გადახდა რათა მილიონობით იმიგრანტის ოჯახი არჩინონ და მათ შვილებს სწავლის ფული გადაუხადონ.

ზემოხსენებული ფაქტორებიდან გამომდინარე, ამერიკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა ქვეყანაში არსებული მიგრანტებთან დაკავშირებული სიტუაციით. მიუხედავად ამისა, პოლიტიკოსები ხშირად ლოიალურად არიან მიგრანტებისადმი განწყობილი, რადგან იმიგრანტების დასაქმებისა და გულის მოგების შედეგად პარტიებს გარანტირებული ექნებათ ხმები არჩევნებში. ამ პოზიციისაგან რადიკალურად განსხვავდება აშშ–ის დღევანდელი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის პოზიცია, რომელიც ნაციონალისტური პოლიტიკის გატარებას ცდილობს. მისი სიტყვებით, ამერიკა ისევე უნდა გაძლიერდეს, რისი ერთ-ერთი წინაპირობაც ამერიკის არალეგალი მიგრანტებისგან დაცლა და თავშესაფრის ქალაქების რიცხვის შემცირებაა.[6]

ბიბლიოგრაფია

- Krogstad, Jens M. Passel, Jeffrey S, Cohn, D'vera, Pew Research Center,2017. *5 facts about illegal immigration in the U.S.* Pew Research Centre. ინტერნეტი. ბოლო ნახვა : 18 ნოემბერი , 2017. http://www.pewresearch.org/fact-tank/2017/04/27/5-facts-about-illegal-immigration-in-the-u-s/
- Federation For Aamerican Immigration Reform. Illegal Immigraion. ინტერნეტი. ბოლო ნახვა 15 ნოემბერი, 2017. https://fairus.org/issues/illegal-immigration
- NCBI. The Changing Racial and Ethnic Composition of the US Populatin: Emerginf American Identities. ინტერნეტი. ბოლო ნახვა : 19 ნოემბერი , 2017. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2882688/

[6] Trump seeks sanctuary-city crackdown, curb on unaccompanied minors for 'Dreamer' deal. (n.d.). Retrieved November 21, 2017, from http://www.foxnews.com/politics/2017/10/08/trump-seeks-crackdown-sanctuary-cities-curb-on-unaccompanied-minors-for-dreamer-deal.html

- Pew Research Center. Chapter 2: Immigration's Impact on Past and Future U.S. Population Change. ინტერნეტი. ბოლო ნახვა: 19 ნოემბერი, 2017. http://www.pewhispanic.org/2015/09/28/chapter-2-immigrations-impact-on-past-and-future-u-s-population-change/
- Pew Research Center. Estimated U.S. Population by Race and Hispanic Origin, 1965-2015, with and without Imigtants Entering 1965-2015. ინტერნეტი. ბოლო ნახვა: 19 ნოემბერი, 2017. http://www.pewhispanic.org/2015/09/28/modern-immigration-wave-brings-59-million-to-u-s-driving-population-growth-and-change-through-2065/ph_2015-09-28_immigration-through-2065-a2-05/
- The New York Times. Here's the Reality about Illegal Immigrants in the United States. ინტერნეტი. ბოლო ნახვა: 17 ნოემბერი,2017. https://www.nytimes.com/interactive/2017/03/06/us/politics/undocumented-illegal-immigrants.html
- CBS News. Immigrants' impact on the U.S. economy in 7 charts. ინტერნეტ. ბოლო ნახვა: 19 ნოემბერი, 2017. https://www.cbsnews.com/news/immigrants-impact-on-the-u-s-economy-in-7-charts/
- CATO Institute. Cutting Immigration Myths Down to Size. ინტერნეტი. ბოლო ნახვა: 18 ნოემბერი , 2017. https://www.cato.org/publications/commentary/cutting-immigration-myths-down-size
- Preceden. Waves of Immigration in America. ინტერნეტი. ბოლო ნახვა : 18 ნოემბერი , 2017. https://www.preceden.com/timelines/29989-waves-of-immigration-in-america
- Immigration to the United States. Immigration Waves. ინტერნეტი. ბოლო ნახვა : 18 ნოემბერი, 2017. http://immigrationtounitedstates.org/603-immigration-waves.html